

## რობოტების ბრძოლა წესების გარეშე

### „რობოტების ბრძოლა წესების გარეშე“

(პროექტის სამუშაო დასახელება)

სტუდენტური ჯგუფების მიერ მომზადებული დისტანციური რობოტები შეეჯიბრებიან ერთმანეთს სისწრაფეში, მანევრულობასა და გამძლეობაში. რობოტები მომზადდება სტუდენტების მაქსიმუმ 4 კაციანი ჯგუფების მიერ, რომლებიც შესაბამის ტექნიკასა და საკონსულტაციო დახმარებას მიიღებენ საინჟინრო ფაკულტეტზე, სადაც მოეწყობა შესაბამისი სახელსონო.

### პირველ სამ ადგილზე გასული ჯგუფები დაჯილდოვდებიან:

**პირველი ადგილი:** ვიზიტი ევროპაში ტექნო პარკის დასათვალიერებლად

**მეორე ადგილი:** საგანმანათლებლო-სახალისო ტური ბათუმში

**მესამე ადგილი:** საგანმანათლებლო-სახალისო ტური ბაკურიანში

### პროგრამის განხორციელება შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

- მსურველთა რეგისტრაცია /დედლაინი 7 ივნისი
- დარეგისტრირებულ მონაწილეთათვის მოეწყობა ვორქშოფი 10-16 ივნისი
- 16 ივნისიდან 1 ივლისამდე ვორშოფის შემდეგ ჩამოყალიბებული ჯგუფები მოამზადებენ რობოტების პროექტებს, რომელიც შეფასდება კონსულტანტთა კომისიის მიერ.
- 1 ივლისიდან მუშაობა დაიწყება დამტკიცებული პროექტების განხორციელებაზე, შესაბამისი კონსულტანტების დახმარებით. (დამტკიცებული პროექტები მიიღებენ საწყის ბიუჯეტს)
- პროექტის მუშა მოდელი მზად უნდა იყოს 1 სექტემბერს.

პროექტის ტექნიკური და ფინანსური დეტალების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ რეგისტრირებულ პირებს.

ჯგუფები უნდა შედგებოდეს 4 ადამიანისგან.


პროექტში მონაწილეობა შეუძლია ყველა ფაკულტეტისა და საფეხურის სტუდენტს.

პროექტით დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ შეავსოთ ქვემოთ მითითებული აპლიკაცია.

([https://docs.google.com/forms/d/1v3WASxw\\_xxtTAO-LHCaULVf\\_0an63QptJQEA8A25Rxw/viewform](https://docs.google.com/forms/d/1v3WASxw_xxtTAO-LHCaULVf_0an63QptJQEA8A25Rxw/viewform))

განაცხადის შევსების ბოლო ვადაა 7 ივნისი.

გისურვებთ წარმატებებს!



მიეცით გასაქანი თქვენს ფანტაზიას...